



შპს აირმაქსი (ს/კ:401973986)

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

შპს აირმაქსი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება საანგარიშო
წლისათვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს



სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით -----	3
მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2022 წლის დასრულებული წლისთვის -----	4
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება -----	5
შპს აირმაქსის 2022 წლის ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები -----	6

შპს "აირმაქსი"			
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით			
(ლარი)			
	შენიშვნა	2022	2021
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	<u>4</u>	920,121	1,570,987
არამატერიალური აქტივები	<u>5</u>	5,653	9,034
სულ გრძელვადიანი აქტივები		925,774.00	1,580,021.00
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტ	<u>6</u>	64,633	481,760
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	<u>7</u>	1,206,590	1,396,140
მარაგები	<u>8</u>	966,887	1,277,397
წინასწარ გადახდილი გადასახადები		13,988	7,698
სხვა მიმდინარე აქტივები		496,855	143,542
სულ მოკლევადიანი აქტივები		2,748,952.99	3,306,536.70
სულ აქტივები		3,674,726.99	4,886,557.70
მთლიანი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		100,000	100,000
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		1,837,094	1,459,366
სულ კაპიტალი		1,937,093.99	1,559,366.00
ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები		334,188	974,560
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		334,188.00	974,560.00
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხები		104,965	157,358
ანარიცხები		85,919	
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	<u>9</u>	1,082,750	2,195,274
საგადასახადო ვალდებულებები		129,811	
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		1,403,445.00	2,352,631.70
სულ ვალდებულებები		1,737,633.00	3,327,191.70
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		3,674,726.99	4,886,557.70

დირექტორი: ბუთხუზ კვირკველია

შპს "აირმაქსი"			
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით			
(ლარში)			
	შენიშვნა	2022	2021
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	920,121	1,570,987
არამატერიალური აქტივები	5	5,653	9,034
სულ გრძელვადიანი აქტივები		925,774.00	1,580,021.00
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტ	6	64,633	481,760
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	7	1,206,590	1,396,140
მარაგები	8	966,887	1,277,397
წინასწარ გადახდილი გადასახადები		13,988	7,698
სხვა მიმდინარე აქტივები		496,855	143,542
სულ მოკლევადიანი აქტივები		2,748,952.99	3,306,536.70
სულ აქტივები		3,674,726.99	4,886,557.70
მთლიანი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		100,000	100,000
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		1,837,094	1,459,366
სულ კაპიტალი		1,937,093.99	1,559,366.00
ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები		334,188	974,560
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		334,188.00	974,560.00
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხები		104,965	157,358
ანარიცხები		85,919	
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	9	1,082,750	2,195,274
საგადასახადო ვალდებულებები		129,811	
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		1,403,445.00	2,352,631.70
სულ ვალდებულებები		1,737,633.00	3,327,191.70
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		3,674,726.99	4,886,557.70

დირექტორი: ბუთხუზ კვირკველია

სსს აირმაქსი
"AIRMAX LLC"
401973986



შპს "აირმაქსი"			
მოგება - ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2022 (ლარში)			
	შენიშვნა	2022	2021
ნეტო ამონაგები		9,327,364	7,544,165
საქონლის და მომსახურების გაყიდვიდან	10	9,327,364	7544165
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება		(4,917,718)	(4,716,047)
საწყისი მარაგები		-1275699	-465690
მარაგების შესყიდვა		-4608905	-5527754
საბოლოო მარაგები		966886	1277397
საერთო მოგება		4,409,646	2,828,118
დასაქმებულთა ანაზღაურება		-2,582,699	-1973228
მომსახურების ანაზღაურება		-345,607	-271934
ცვეთა და ამორტიზაცია		-107,890	-86651
საპროცენტო ხარჯი		-101,879	-117728
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	11	-156879	-165788
საოპერაციო მოგება		1,114,692	212,789
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციები	12	-103,872	40361
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)		-589,471	-4543
მოგება დაბეგვრამდე		421,349	248,607
მოგების გადასახადი	13	-2,972	-6843
მოგება/ზარალი		418,377	241,764

დირექტორი: ბუთხუზ კვირკველია

შპს "აირმაქსი"			
მოგება - ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2022 (ლარში)			
	შენიშვნა	2022	2021
ნეტო ამონაგები		9,327,364	7,544,165
საქონლის და მომსახურების გაყიდვიდან	10	9,327,364	7544165
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება		(4,917,718)	(4,716,047)
საწყისი მარაგები		-1275699	-465690
მარაგების შესყიდვა		-4608905	-5527754
საბოლოო მარაგები		966886	1277397
საერთო მოგება		4,409,646	2,828,118
დასაქმებულთა ანაზღაურება		-2,582,699	-1973228
მომსახურების ანაზღაურება		-345,607	-271934
ცვეთა და ამორტიზაცია		-107,890	-86651
საპროცენტო ხარჯი		-101,879	-117728
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	11	-156879	-165788
საოპერაციო მოგება		1,114,692	212,789
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციები	12	-103,872	40361
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)		-589,471	-4543
მოგება დაბეგვრამდე		421,349	248,607
მოგების გადასახადი	13	-2,972	-6843
მოგება/ზარალი		418,377	241,764

დირექტორი: ბუთხუზ კვირკველია

შპს "აირმაქსი"
"AIRMAX"
401973986





შპს აირმაქსი (ს/კ:401973986)

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

შპს "აირმაქსი"					
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება					
(ლარში)					
	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი	
2021 წლის 31 დეკემბერი	100,000		1,456,860	1,556,860	
წმინდა მოგება	-	-	418377	418,377	
სხვა სრული შემოსავალი	-			-	
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	418377	418,377	
გაცემული დივიდენდი		-	-16842	(16,842)	
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში			-21301	(21,301)	
საწესდებო კაპიტალის ზრდა		-		-	
2022 წლის 31 დეკემბერი	100,000	-	1,837,094	1,937,094	

დირექტორი: ბუთხუზ კვირკველია

შპს "აირმაქსი"				
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება (ლარში)				
	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2021 წლის 31 დეკემბერი	100,000		1,456,860	1,556,860
წმინდა მოგება	-	-	418377	418,377
სხვა სრული შემოსავალი	-	-		-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	418377	418,377
გაცემული დივიდენდი		-	-16842	(16,842)
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში			-21301	(21,301)
საწესდებო კაპიტალის ზრდა		-		-
2022 წლის 31 დეკემბერი	100,000	-	1,837,094	1,937,094

დირექტორი: ბუთხუზ კვირკველია

AIRMAX
საწესდებო
კაპიტალი





შპს აირმაქსის 2022 წლის ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს აირმაქსი “ (შემდეგ - კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაფუძნდა 2012 წელს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრირებულია თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ, საიდენტიფიკაციო ნომრით 401973986. კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში, აკ. წერეთელის გამზ., N77.

კომპანიის ფაქტური მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში, დავით ბაქრაძის 4.

შპს აირმაქსს ჰყავს შვილობილი კომპანია შპს აირმაქს მეპი (402063342), რომლის 67%-ის მფლობელია. აირმაქს მეპის ძირითადი საქმიანობა არის წყალგაყვანილობის, გათბობის და ჰაერის კონდიციონერების სისტემების მონტაჟი.

შპს აირმაქს მეპის იურიდიული და ფაქტობრივი მისამართია : საქართველო, თბილისი, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი, დ. ბაქრაძის ქ., N4, სართული 1 .

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს წყალგაყვანილობის, გათბობის და ჰაერის კონდიციონერების სისტემების მონტაჟი, მანქანების და მოწყობილობების რემონტი.

კომპანიის წილის მფლობელები არიან: 75% იანი წილის მფლობელი ალექსანდრე კვირკველია (01001068577); 25%-იანი წილის მფლობელი ბუთხუზ კვირკველია (01017006870)

კომპანიის დირექტორია ბუთხუზ კვირკველია (01017006870)

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

მომზადების საფუძველები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია დარიცხვის მეთოდით, საწარმო აკმაყოფილებს ფუნქციონირებადი საწარმოს მოთხოვნებს;

შეფასებისა და წარდგენის ვალუტა

(ა) ფუნქციონალური და წარდგენის ვალუტა

თავის ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს.

(ბ) ტრანზაქციები და ბალანსი

ფულადი აქტივები და ვალდებულებები კონვერტირებულია ფუნქციონალურ ვალუტაში ოფიციალური გაცვლით კურსით ბალანსის შედგენის დღისთვის. მოგება და ზარალი კურსთა შორის სხვაობიდან ოპერაციების ანაზღაურებისას და ფულადი აქტივების და ვალდებულებების კონვერტაციისას წლის ბოლოს არსებული ოფიციალური კურსით აღიარებულია მოგებად ან ზარალად. წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს.

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები:



ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები, რომლებიც გამოყენებულია ფინანსური ინფორმაციის მომზადებისას, მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკები ეხება წარდგენილ ყველა წელს, თუ განსხვავებული არ არის განცხადებული.

ტერმინების განმარტებები:

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც წარმოშობს ერთი საწარმოს ფინანსურ აქტივს, ხოლო მეორე საწარმოს ფინანსურ ვალდებულებას.

ფინანსური აქტივი ფინანსური ინსტრუმენტის ერთ-ერთი სახეობაა.

კომპანია ფინანსური აქტივების სახით ფლობს, მსს ფასს 11 განყოფილების „ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტების“ თანახმად, შემდეგ **ძირითად** ფინანსურ ინსტრუმენტებს:

ა) რეზიდენტი ბანკების საბანკო ანგარიშებზე განთავსებულ ფულად სახსრებს;

და

ბ) 3 თვემდე მოთხოვნამდე და 12 თვემდე ფიქსირებულვადიანი დეპოზიტების საბანკო ანგარიშებს რეზიდენტ ბანკებში.

კომპანია განსაზღვრავს ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას თავდაპირველი აღიარებისას ჯგუფების მიხედვით.

კომპანია იმ შემთხვევაში აღიარებს ფინანსურ აქტივს ან ფინანსურ ვალდებულებას, თუ საწარმო ხდება სახელშეკრულებო პირობების მონაწილე.

თავდაპირველად ფინანსური აქტივები ფასდება თვითღირებულებით. ფინანსური აქტივების თვითრღირებულება არის ოპერაციის/გარიგების ფასი გარიგების დანახარჯების ჩათვლით.

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას როდესაც, აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს გასდის ვადა.

დებიტორული დავალიანების გაუფასურება

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ცალსახად არ არსებობს რაიმე ობიექტური მტკიცებულება არსებული ფინანსური აქტივების გაუფასურებისა. იმ შემთხვევაში, თუ მომავალ პერიოდში არსებითად გაიზარდება დებიტორული დავალიანების თანხა და ადგილი ექნება გაუფასურების გამომწვევ მიზეზებს, როგორიცაა: ხელშეკრულების პირობების დარღვევა, მომავალი ფულადი ნაკადების სიდიდის შემცირება, ემიტენტის მნიშვნელოვანი ფინანსური სიმწიფეები, თუ ცხადი გახდება, რომ დებიტორთან დაკავშირებით დაიწყება გაკოტრების, ან სხვა სახის ფინანსური რეორგანიზაციის პროცესი, - საწარმო დაუყოვნებლივ შექმნის საეჭვო და უიმედო მოთხოვნების რეზერვებს (ანარიცხებს), და აღიარებს

გაუფასურების ზარალს შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის მოგება-ზარალში.

ფინანსური ვალდებულებები, აღიარება და აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია სავაჭრო და სხვა ფინანსური ვალდებულებების სახით. ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით.

ვალდებულებების პირვანდელი ღირებულება არის მიღებული არაფულადი აქტივების რეალური ღირებულება ვალდებულების წარმოქმნის მომენტისათვის, რომლის სანაცვლო ფულადი აქტივი ჯერ არ მიწოდებულა;

ან, მიღებული ფულადი სახსრების ოდენობა, რომლის სანაცვლო არაფულადი აქტივი ჯერ არ მიწოდებულა;

ან, ზოგიერთ შემთხვევაში (მაგალითად, მოგების გადასახადისათვის), იმ ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ეკვივალენტების ოდენობა, რომლის საწარმოდან გასვლა მოსალოდნელია ვალდებულების დასაფარავად საწარმოს ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში.

კომპანია ფინანსური ვალდებულების აღიარებას წყვეტს მაშინ, როცა ვალდებულება სრულდება, უქმდება ან გასდის ვადა. საკუთრივ სხვაობა ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.



გადაფარვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები არის გადაფარული და ნეტო თანხითაა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ როდესაც, არის კანონიერი უფლება, რომ აგრეგირდეს აღიარებული თანხები და არის განზრახვა წარდგენილ იქნეს ნეტო თანხით ან გაიყიდოს აქტივი და დაიფაროს ვალდებულება ერთდროულად.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები არის ისეთი აქტივები, რომლებიც დაუბრკოლებლად გადაიცვლება ნაღდი ფულის წინასწარ ცნობილ ოდენობაზე და მათი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე.

სავაჭრო მოთხოვნები და გაცემული სესხები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. იმ შემთხვევაში, როდესაც საკრედიტო ვადები აღემატება ჩვეულებრივ საკრედიტო ვადებს, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

მარაგები

მარაგები საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენისა და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მაგალითად, ტრანსპორტირებისა და იმპორტის ხარჯები, ასევე სხვა პირდაპირი ხარჯები. მარაგების ჩამოწერა ხორციელდება საშუალო შეწონილი მეთოდით.

ძირითადი საშუალებები

ა) თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით. თვითღირებულება შეძენის ფასთან ერთად მოიცავს პირდაპირ დანახარჯებს და მათთან დაკავშირებული ნებისმიერი მომავალი ვალდებულების მიმდინარე ღირებულებას, ისევე როგორც მიმდინარე შესყიდვის ფასს, ასევე აქტივთან უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალურად.

მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სხვა შემოსავლების/ხარჯების კატეგორიაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

**ა) შემდგომი ხარჯები**

შემდგომი ხარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება, როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ბ) ცვეთა

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად.

ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი მეთოდით, სასარგებლო მომსახურების ვადის მიხედვით; ქვემოთ მოცემულია ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები კატეგორიების მიხედვით:

ძირითადი საშუალების ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წლები)
შენობა-ნაგებობები	20 წელი
საოფისე აღჭურვილობა	2-8 წელი
დანადგარები	2-15 წელი
ავეჯი და ინვენტარი	2-15 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	6-10 წელი

აქტივის გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივებისა გატესტვა გაუფასურებაზე, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება აქტივის საბალანსო ღირებულება, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულება

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

დაბეგვრა

კომპანიის გადასახადი გაანგარიშებულია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. გადასახადები აღიარდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. წინასწარ გადახდილი გადასახადები წარდგება, როგორც საგადასახადო აქტივები.



ამონაგების აღიარება

კომპანიის მიერ მომსახურებიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება, მომსახურების დასრულების შემდგომ, როდესაც მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საწარმოში და ამონაგების ოდენობის შეფასება საიმედოდ არის შესაძლებელია. თუ ამონაგები უკვე ასახულია და ამის შემდეგ საეჭვო გახდა თანხის მიღება, ამოსაღები თანხა აისახება როგორც ხარჯი და არა როგორც თავდაპირველად აღიარებული ამონაგების თანხის კორექტირება.

ხარჯების აღიარება

კომპანია თავისი ძირითადი ოპერაციების განხორციელებისას ახდენს როგორც საოპერაციო, ასევე სხვა ხარჯების გაწევას, რომელიც პირდაპირ არ არის დაკავშირებული პროდუქციის რეალიზაციასთან.

მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე საადრიცხო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, თუ აღარ მოიტანს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს ან შეწყვეტა დაკმაყოფილება აქტივის აღიარების მოთხოვნისა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

სახელფასო განაცემები

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ვალდებულება კი წარმოადგენს კომპანიის მიმდინარე დავალიანებას, რომელიც წარმოიშვა წარსული მოვლენის შედეგად, და რომლის დაფარვა გამოიწვევს კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გადინებას.

მნიშვნელოვანი საადრიცხო შეფასებები და გადაწყვეტილებები

- **ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები** - ძირითად საშუალებებზე და არამატერიალურ აქტივებზე ცვეთისა და ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს კომპანია აქტივიდან სარგებლის მიღებას. პერიოდულად ხდება შეფასებების სისწორის შემოწმება. საადრიცხო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.

- **მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხები** - კომპანია რეგულარულად აფასებს მოთხოვნებს გაუფასურებაზე. გაუფასურების ნიშნების არსებობის შემთხვევაში ხელმძღვანელობა აფასებს დებიტორული დავალიანების მომავალ ფულად ნაკადებს, ხოლო თუ საჭიროა ინდივიდუალური დებიტორის მომავალ ფულად ნაკადებს. გაუფასურების ნიშნები შეიძლება იყოს დებიტორის მიერ გადახდების გაუარესება, ეროვნული ან ადგილობრივი ეკონომიკური ფაქტორები, რომლებიც უარყოფით გავლენას ახდენს მასზე.



შპს აირმაქსი (ს/კ:401973986)

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

ხელმძღვანელობა წარსული გამოცდილების საფუძველზე აფასებს მოთხოვნების გაუფასურებას. მომავალი ფულადი ნაკადების მოცულობის და დროში განაწილების შეფასების მეთოდოლოგია ხელმძღვანელობის მიერ გადაიხედება პერიოდულად, რათა შემცირდეს სხვაობა შეფასებულ და ფაქტიურ დანაკარგებს შორის.

• **სასამართლო დავები** - კომპანია ანარიცხს სასამართლო დავებთან დაკავშირებით აღიარებს მხოლოდ მაშინ, როდესაც ადგილი აქვს მიმდინარე ვალდებულებას, რომელიც წარსულში მომხდარი ქმედების შედეგია, მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიისგან და შესაძლებელია მისი საიმედოდ განსაზღვრა. იქ, სადაც რომელიმე კრიტერიუმში არ კმაყოფილდება, პირობითი ვალდებულება შეიძლება იქნას გაშიფრული ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციის განმარტებით შენიშვნებში. ნებისმიერი პირობითი ვალდებულების დადგომას, რომლის აღიარება ან გაშიფვრა ფინანსურ ინფორმაციაში ჯერ არ მომხდარა, შეიძლება ქონდეს არსებითი გავლენა ფინანსურ ინფორმაციაზე. აქედან გამომდინარე კომპანიის ხელმძღვანელობისგან აღნიშნული ფაქტი მოითხოვს მნიშვნელოვან შეფასებებს არსებულ თუ მომავალ სასამართლო დავებთან დაკავშირებით. კომპანია განიხილავს ყოველ მიმდინარე სასამართლო დავას და აფასებს მის შედეგებს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის, რათა განსაზღვროს საჭიროა თუ არა შესაბამისი ანარიცხის შექმნა. შეფასების დროს გაითვალისწინება შემდეგი ფაქტორები: დავის ხასიათი, მომჩივანია თუ მოპასუხე, სასამართლო პროცესის მიმდინარეობა და პოტენციური ზარალის დონე, იურისტების მიმოხილვა და რჩევები, გამოცდილება მსგავსი შემთხვევებიდან და სხვა. 2020 წლის 31 დეკემბრისა და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ ჰქონია სასამართლო დავები.

შენიშვნა -4

ძირითადი საშუალებები

	შენიშვნა	მანქანა-დანადგარები	ავიჯი და სხვა ინვენტარი	ნაგებობები	სატრანსპორტო საშუალებები	ოფისის აღჭურვილობა	მიწა	დაუმთავრებელი მშენებლობა
ლარი								
2021 წლის ბოლოს მდგომარეობით	141,281	636,624	17,739	151,896	131,755	63,998	286,700	327,950
შესყიდვა	604,650	18,833	1,118	-	27,641	8,644	-	-
კაპიტალიზაცია					24,000	909	266,700	-
გასვლა	594,650	1,977	383					327,950
2022 წლის ბოლოს მდგომარეობით	151,281	653,480	18,474	151,896	135,396	71,733	20,000	(0)
დაგროვილი ცვეთა 2022 წლის ბოლოს მდგომარეობით	51,506	110,529	10,593	25,696	40,059	43,756	-	-
საბალანსო ღირებულება								
2022 წლის ბოლოს	99,775	542,950	7,881	126,200	95,337	27,976	20,000	(0)

შენიშვნა-5

არამატერიალური აქტივები

ლარი	პროგრამები	ლიცენზიები	სხვა	ჯამი
2021 წლის ბოლოს	23,539			
შემოსავლა	-			
გასვლა				-
2022 წლის ბოლოს	23,539	-	-	23,539
დაგროვილი ამორტიზაცია				
2021 წლის ბოლოს	14,505			
პერიოდის ამორტიზაციის ხარჯი	3,381			
გასულის დაგროვილი ამორტიზაცია				
2022 წლის ბოლოს	17,886	-	-	-
საბალანსო ღირებულება				
2022 წლის ბოლოს	5,653	-	-	-



შენიშვნა-6

ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები

ლარში	31/12/2022	31/12/2021
ფული სალაროში	-	-
ფული საბანკო ანგარიშებზე	64,633	481,108
	64,633	481,108

შენიშვნა-7

სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

	31/12/2022	31/12/2021
სავაჭრო დებიტორული დავალიანებები	1,206,590	1,327,863
საექვო ვალების ანარიცხების რეზერვი	-	(87,599)
მოთხოვნები პერსონალის მიმართ	-	(2,211)
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	-	158,087
	1,206,590	1,396,140

ყველა თანხა არის მოკლევადიანი. სავაჭრო მოთხოვნების წმინდა საბალანსო ღირებულება მიჩნეულია დაახლოებით გონივრულ რეალურ ღირებულებად.

სავაჭრო მოთხოვნების ამოღების პერიოდი შეადგენს დაახლოებით 30-365 დღეს.

შენიშვნა-8

მარაგები

ლარში	31/12/2022	31/12/2021
მზა პროდუქცია	15,890	60,449
ნედლეული	950,997	1,216,718
საქონელი	-	230
	966,887	1,277,397

შენიშვნა-9

სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

ლარში	31/12/2022	31/12/2021
სავაჭრო ვალდებულებები	217,123	308,010
გადასახელი ხელფასები	40,660	42,555
მიღებული ავანსები	-	1,837,856
გადასახდელი იჯარის თანხა	-	600
სხვა ვალდებულებები	824,967	-
	1,082,750	2,189,021



შენიშვნა-10

ამონაგები

ლარი

31/12/2022

შემოსავალი 18 %-იანი დღგ-ით
 საქონლის/მომსახურების რეალიზაციიდან
 სხვა შემოსავალი ჩათვლის უფლებით დღგ-თ
 გათავისუფლებული საქონლის
 რეალიზაციიდან

9,306,687

20,677

9,327,364

შენიშვნა-11

ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი

31/12/2022

მიწოდების ხარჯი
 კომუნალური ხარჯი
 საპენსიოს ხარჯი
 საიჯარო ქირის ხარჯი
 ბანკის საკომისიოს ხარჯი
 ოფისის ხარჯი
 სხვა საერთო ხარჯი

(38,311)

(11,494)

(46,624)

(3,000)

(9,808)

(3,794)

(43,500)

(156,531)

შენიშვნა-12

წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) საგალუტო ოპერაციებიდან

31/12/2022

სხვა არასაოპერაციო შემოსავალი
 სხვა არასაოპერაციო ხარჯები

288,989

(392,861)

(103,872)

შენიშვნა-13

მოგების გადასახადის ხარჯი

ლარი

31/12/2022

მიმდინარე მოგების ხარჯი

(2,972)

პირობითი ვალდებულება

კომპანიის წინააღმდეგ არანაირი სარჩელის წარმოება არ მიმდინარეობს;

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური ანგარიშგება გამოსაცემად დამტკიცებულია 2023 წლის 30 სექტემბრით;

დირექტორი: ბუთხუზ კვირკველია

შენიშვნა-10

ამონაგები

ლარი

შემოსავალი 18 %-იანი დღგ-თი
საქონლის/მომსახურების რეალიზაციიდან
სხვა შემოსავალი ჩათვლის უფლებით დღგ-თ
გათავისუფლებული საქონლის
რეალიზაციიდან

31/12/2022

9,306,687

20,677

9,327,364

შენიშვნა-11

ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი

მიწოდების ხარჯი

31/12/2022

(38,311)

კომუნალური ხარჯი

(11,494)

საპენსიოს ხარჯი

(46,624)

საიჯარო ქირის ხარჯი

(3,000)

ბანკის საკომისიოს ხარჯი

(9,808)

ოფისის ხარჯი

(3,794)

სხვა საერთო ხარჯი

(43,500)

(156,531)

შენიშვნა-12

წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან

31/12/2022

სხვა არასაოპერაციო შემოსავალი

288,989

სხვა არასაოპერაციო ხარჯები

(392,861)

(103,872)

შენიშვნა-13

მოგების გადასახადის ხარჯი

ლარი

31/12/2022

მიმდინარე მოგების ხარჯი

(2,972)

პირობითი ვალდებულება

კომპანიის წინააღმდეგ არანაირი სარჩელის წარმოება არ მიმდინარეობს;

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური ანგარიშგება გამოსაცემად დამტკიცებულია 2023 წლის 30 სექტემბრით;

დირექტორი: ბუთხუზ კვირკველია

AIRMAX
401973986

